


„მწვანე ალტერნატივა“ – „ჯორჯიან მანგანეზში“ სპეციალური მმართველის დანიშვნა გარემოს დაცვითი მდგომარეობის გამოსწორებისთვის საჭირო ქმედებაა

 bpn.ge/finansebi/35449-mtsvane-alternativa--jorjian-manganezshi-specialuri-mmarthvelis-danishvna-garemos-dacvithi-mdgomareobis-gamostsorebisthvis-satciro-qmedebaa.html



„ჯორჯიან მანგანეზში“ სპეციალური მმართველის დანიშვნა სწორად მიმართა.

ამის შესახებ არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივა“ აღმასრულებელმა დირექტორმა ნინო გუჯარაიძემ „ინტერნპრესნიუსთან“ საუბრისას განაცხადა.

მისივე თქმით, ეს არის გარემოს დაცვითი მდგომარეობის გამოსწორებისთვის საჭირო ქმედება, თუმცა რამდენად განხორციელდება და როგორ, ეს სხვა თემაა.

„კანონით ყველა გარემოა იყო გათვალისწინებული, რომლითაც სავალდებულოა მმართველის დანიშვნა. წლების განმავლობაში იყო შეუსრულებელი ვალდებულებები, რის გამოც დიდი ზიანი იყო“, - აღნიშნა ნინო გუჯარაიძემ.

მისივე თქმით, გეგმა, რომელიც „ჯორჯიან მანგანეზში“ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე გაავრცელა, იყო მხოლოდ საკითხების ჩამონათვალი.

„ამ ეტაპზე ახალი ცნობილი არაფერია, უნდა ვნახოთ დოკუმენტი და შემდეგ მონიტორინგს გავუწევთ შესაბამისი დოკუმენტის განხორციელებას. დოკუმენტი როგორც კი იქნება ხელმისაწვდომი, ასე თუ ისე, შევძლებთ შეფასებას, შეასრულებს თუ ვერა იმ პირობებს. რადგან ეს პროცესი გარემოს დაცვის მმართველთან არის დაკავშირებული და სასამართლოს დადგინებით ხდება, უნდა იყოს სამართლებრივად

სავალდებულო დოკუმენტი შესასრულებელი. ამიტომ ვიტოვებ იმედს, რომ არსებობს დოკუმენტი, რომელშიც კონკრეტული საკითხები იქნება განწერილი“, - აღნიშნა ნინო გუჯარაიძემ.

[მასალის გამოყენების პირობები](#)